



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მოდის დიზაინის ტექნოლოგიები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

27.11.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი  
04.12.2019

თბილისი  
2019

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მოდის დიზაინის ტექნოლოგიები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0212 დიზაინის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ღაღანიძე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ჩხუტიშვილი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე წულუკიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

## აკრედიტაციისექსპერტთაჯგუფისშემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი დიზაინისა და ინტერიერის დეპარტამენტის ბაზაზე 2015 წლიდან ახორციელებდა საბაკალავრო პროგრამას „სამოსის დიზაინი“. პროგრამა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მსუბუქი მრეწველობის ინდუსტრიასთან და, ამასთანავე, ინტენსიურად ატარებდა შრომის ბაზრის კვლევებს ახალი მოთხოვნების, დასაქმების შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. მსუბუქი მრეწველობის სფეროში ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოება ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად იქნა აღიარებული, თუმცა ყველა კვლევის მიხედვით პოტენციურ დამსაქმებელ ორგანიზაციათა აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებდა მაღალკვალიფიციური კადრების, სახელდობრ, კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგების დეფიციტს ამ სფეროში. თავის მხრივ, ზოგადად დიზაინის სფერო, როგორც დინამიურად განვითარებადი დარგი, მუდმივად საჭიროებს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას და ეფექტურად გამოყენებას. ამ რეალობის გათვალისწინებით საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა უკვე არსებული საბაკალავრო პროგრამის „სამოსის დიზაინი“ მოდიფიცირება მოდის ინდუსტრიისათვის მაღალკვალიფიციური კონსტრუქტორების და ტექნოლოგების აღსაზრდელად.

საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ შემუშავებულია მსუბუქი მრეწველობის დარგში არსებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე, შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში მოძიებული, შესწავლილი და გაანალიზებულია რამდენიმე უცხოური ანალოგიური პროგრამის გამოცდილება (კერძოდ, ლისაბონის უნივერსიტეტი, პორტუგალია, ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი, ლიტვა, საქსიონის გამოცდილებითი ხელოვნების უნივერსიტეტი, ნიდერლანდები, ნეიდერჰაინის გამოცდილებითი ხელოვნების უნივერსიტეტი, გერმანია).

ამდენად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის „სამოსის დიზაინის“ ეტაპობრივი განვითარების - აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების, ნორმატიულ მარეგულირებელ დოკუმენტებში შესული ცვლილებების გათვალისწინებითა და უცხოური ანალოგიური პროგრამების ანალიზის საფუძველზე პროგრამის მოდიფიცირების გზით შემუშავდა საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“, რომელიც მიზნად ისახავს მოდის ინდუსტრიის სფეროს მომარაგებას მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, რომელთაგან 220 კრედიტი ეთმობა ძირითად სპეციალობას, ხოლო 20 კრედიტი თავისუფალი კომპონენტების სახითაა წარმოდგენილი. სპეციალობის სასწავლო კურსები მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტებს. პროგრამის სტრუქტურა მეტად არ არის დიფერენცირებული. საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) და 240 კრედიტის დაგროვების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დიზაინის ბაკალავრის კვალიფიკაცია.

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი აკადემიური და მატერიალური რესურსით, პროგრამას ემსახურება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ბიბლიოთეკა, შესაბამისი ტექნიკური დანადგარებით აღჭურვილი სახელოსნოები. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩაირიცხა 14 სტუდენტი (ბოლო 2 წლის განმავლობაში მიღება არ გამოცხადებულა). ამჟამად სტუდენტის აქტიური სტატუსი 4 სტუდენტს აქვს. აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში მოდიფიცირებულ პროგრამაზე იგეგმება 15 სტუდენტის მიღება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 27 ნოემბერს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში; ჩატარდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც კონსტრუქციულად იქნა აღქმული უნივერსიტეტის და პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად, პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.1, 2.2, 2.3 და 2.6 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.4 და 2.5 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 3.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და, ამდენად, მე-3 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 4.1,4.2,4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ამდენად მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტებთან. 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამდენად მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირებების გადახედვა და დახვეწა, რათა თითოეული შედეგის აღწერა მაქსიმალურად იყოს მისადაგებული კონკრეტული სფეროს თავისებურებებთან.

2. რეკომენდებულია გასაუბრებისა და პორტფოლიოს წარდგენის პროცედურის, პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმების უფრო მკაფიოდ გაწერა და აბიტურიენტებისთვის აღნიშნული მექანიზმის არსის და შეფასების კრიტერიუმების დეტალურად გაცნობა.
3. რეკომენდებულია პროგრამის აღწერით ნაწილსა და სტრუქტურაში მკაფიოდ გამოიყოს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები, რაც უკეთ უზრუნველყოფს სტრუქტურაში დარგის სპეციფიკის ზედმიწევნით ზუსტად ასახვას.
4. რეკომენდებულია ქართულენოვანი სასწავლო რესურსის გამდიდრება როგორც ორიგინალური სახელმძღვანელოების, ასევე სალექციო კურსების შექმნის გზით.
5. რეკომენდებულია, საბაკალავრო პროექტის სილაბუსში უფრო მკაფიოდ გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მაგალითად, შექმნილი ნაწარმის/კოლექციის ერთეულთა მინიმალური რაოდენობა, მისი სინთეზური ხასიათი, შეფასების კრიტერიუმები) და საკუთრივ დაცვის ფორმატი.
6. რეკომენდებულია კარიერული განვითარების სამსახურის/სერვისის ცნობადობის ამაღლება სტუდენტთა შორის და მისი გააქტიურება სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის სათაურების სრულ შესაბამისობაში მოყვანა ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზებში დაფიქსირებულ დასახელებებთან.

2. პროგრამის წარმატებული განვითარებისათვის, სასურველია, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელება, ურთიერთთანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავება - განვითარება, მიმართულების, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. სასურველია არსებული სპეციალიზებული უახლესი ტექნოლოგიებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეგულარული განახლება; მაგალითად, სპეციალიზირებული კომპიუტერული პროგრამების შექმნა და კურიკულუმში მათი დამატება სწავლების მესამე/მეოთხე წლიდან, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტთა ტექნოლოგიურ უნარებს და საშუალებას მისცემს მათ სწავლების პროცესშივე გამოიმუშაონ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ეფექტური მუშაობის უნარები.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

„სამოსის დიზაინის“ პროგრამაზე ჩარიცხვას არ ჰქონდა რაიმე სახის წინაპირობა შემოქმედებითი უნარების შემოწმების მიზნით. წინა აკრედიტაციის რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოდგენილ პროგრამას „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრული აქვს შემოქმედებითი ტური, რომელიც ტარდება პორტფოლიოს ფორმატით.

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სილაბუსებში, წინა აკრედიტაციის რეკომენდაციის თანახმად, გამოყენებულია სახელოვნებო საგნებისთვის აუცილებელი შეფასების სპეციფიური მეთოდები და კრიტერიუმები.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაა „შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა.“ საბაკალავრო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ მიზანი თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რადგან ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების აღზრდაზე ისეთი სფეროსთვის, როგორცაა მოდის დიზაინის ტექნოლოგიები, კერძოდ, მხატვრულ-ტექნიკური მოდელირება და ინოვაციური ტექნოლოგია. პროგრამა ითვალისწინებს ტრადიციულ ცოდნასა და პრაქტიკაზე თანამედროვე კრეატიული მიდგომების დაფუძნებას, დარგის ეთიკური თუ პროფესიული ღირებულებების ზედმიწევნით დაცვით. სწავლის შედეგებში განსაზღვრულია კრეატიული და ტექნიკური უნარების თანაბრად განვითარება მოდური ტენდენციების გათვალისწინებით კოლექციების დაგეგმვისა და პრაქტიკულად განხორციელების მიზნით. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად შეესაბამება პროგრამის მიზანს, რომელიც ნათლადაა ჩამოყალიბებული. პროგრამის მოდიფიცირებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრისათვის უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, გამოკითხა სავარაუდო დამსაქმებელთა, საშუალო და მცირე ბიზნესის(სალონები,

ატელიეები და სხვ.) წარმომადგენლები, რაც დაეხმარა პროგრამის ხელმძღვანელს და აკადემიურ პერსონალს ზუსტად განესაზღვრათ პროგრამის პროფილი და სწავლის შედეგები. მოდიფიცირებული პროგრამის ამოქმედების შემდეგ სწავლის შედეგები, ისევე როგორც ეს ხდება უკვე არსებულ „სამოსის დიზაინის“ პროგრამაში, სისტემატურად შეფასდება, ხოლო შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.



## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოდის დიზაინის ტექნოლოგიების პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის მიხედვით. პროგრამა ორიენტირებულია იმაზე, რომ სტუდენტს თანაბრად შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა და განუვითაროს პრაქტიკული უნარები, რაც სამოსის კონსტრუირებისა და ტექნოლოგიის დარგში მომუშავე სპეციალისტისთვის არის აუცილებელი. როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამა შემუშავებულია 2015 წლიდან არსებული საბაკალავრო პროგრამის „სამოსის დიზაინის“ მოდიფიცირების გზით. შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები დაედო საფუძვლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირებას, მის მორგებას შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე. სწორედ ამ მოთხოვნების გააზრება და მათი პროგრამაში ადეკვატურად ასახვა უქმნის პროგრამის კურსდამთავრებულს დასაქმების რეალურ შესაძლებლობას, კონკურენტუნარიანს ხდის მას მოდის ინდუსტრიის სფეროში. ამდენად, სწავლის შედეგების შემუშავების, მათი ფორმულირების, მონაცემთა ანალიზის და შეფასების მხრივ პროგრამა იყენებს არსებულ გამოცდილებას და, ამავე დროს, ითვალისწინებს უცხოური ანალოგების პრაქტიკას.

უნივერსიტეტში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პროცედურა მოიცავს პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და შემდგომი განვითარების კომპონენტს, ბაზრის კვლევას, ადამიანური და მატერიალური რესურსების ანალიზს, პროგრამის სავარაუდო განმხორციელებელი პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას. სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესში მონაწილეობს აკადემიური პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მათი ერთობლივი ძალისხმევით პროგრამა და მისი სწავლის შედეგები განიცდის მოდიფიცირებას. დამსაქმებლებთან, პრაქტიკული და სტაჟირების კომპონენტის განმხორციელებლებთან თანამშრომლობა საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს შეაჯეროს მათი მოსაზრებები აკადემიური პერსონალის გამოცდილებასთან, რაც თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების სინქრონიზაციის შესაძლებლობას ქმნის.

სწავლის შედეგები აღწერილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამი სწავლის შედეგის (ცოდნა/გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა) მიხედვით. როგორც ცნობილია, აღნიშნულ ჩარჩოსთან სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა საკმაოდ რთული, ჩვენს რეალობაში ჯერ კიდევ ახალი პროცესია. როგორც გამოიკვეთა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს, ამ პროცესში აქტიურად თანამშრომლობდნენ პერსონალი და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. სამუშაო შეხვედრების ფორმატში იხილებოდა სწავლის შედეგების ახალი აღმწერის თავისებურებები, მუშავდებოდა სწავლის შედეგების ფორმირების ახალი პრინციპები. პროგრამის და განსაკუთრებით სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება ზოგ შემთხვევაში ზედმეტად ფორმალიზებულია, გამოყენებულია ერთი და იგივე აქტიური ზმნა (მაგალითად, სასწავლო კურსი „ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება“: „განჭვრეტს მიღებული ცოდნის გამოყენების აუცილებლობას ტყავის ნაწარმის მოდელის შექმნისას და კონსტრუირებისას; სასწავლო კურსი „დარგის მენეჯმენტი“:

„განჭვრეტს თანამედროვე მენეჯმენტის თეორიებისა და ძირითადი პრინციპების გამოყენების შესაძლებლობებს მსუბუქი მრეწველობის ორგანიზაციებსა და მოდის დიზაინის სფეროში“; სასწავლო კურსი „აქსესუარების მასალაში შესრულება“: „განჭვრეტს მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას თანამედროვე მოდის დიზაინში“; სასწავლო კურსი „კომპოზიციის საფუძვლები“ : „ახდენს კომპოზიციის შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოების და მასალის შერჩევას“; სასწავლო კურსი „მეწარმეობის სამართლებრივი ფორმები“: „ახდენს წინასწარი მითითებების მიხედვით სამეწარმეო საქმიანობის ფორმირებაში მონაწილეობას, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებების განსაზღვრას და პრაქტიკულად გამოყენებას“; სასწავლო კურსი „ფერწერული ქარგვის, ქსოვის, გობელენის, თექის მასალების ღებვის ტექნოლოგიები“: „ახდენს მასალების შერჩევას, შესაღები ხსნარის მომზადებას, ღებვის პროცესის შესრულებას“ და სხვ.). ეს გარემოება აბუნდოვნებს კონკრეტული სწავლის შედეგის შინაარსს, თუმცა იმავე სილაბუსის მიზნის, სწავლა/სწავლების მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების და, რაც მთავარია, შინაარსის, კომპონენტების გაცნობა ცხადყოფს, რომ ისინი ლოგიკურ კავშირშია ერთმანეთთან და ემსახურება დარგობრივი თუ ტრანსფერული უნარების გამომუშავებას. ამდენად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით, გასაგრძელებელია მუშაობა სწავლის შედეგების ფორმულირებაზე მათი ენობრივი (სტილისტური) დახვეწისა და დარგობრივი შინაარსის უფრო ზუსტად ფორმულირების კუთხით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- შრომის ბაზრის კვლევა

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირებების გადახედვა და დახვეწა, რათა თითოეული შედეგის აღწერა მაქსიმალურად იყოს მისადაგებული კონკრეტული სფეროს თავისებურებებთან.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

## შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შედეგების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დამატებით, ეროვნულ გამოცდებამდე, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე,

აბიტურიენტი გადის შემოქმედებით ტურს - წარადგენს პორტფოლიოს. აღნიშნული კომპონენტი პროგრამის წინაპირობად განისაზღვრა „სამოსის დიზაინის“ პროგრამაზე არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, კერძოდ, ადრე შემოქმედებითი ტური არ იყო განსაზღვრული პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად, რაც ამნელებდა სწავლის შედეგების მიღწევას შემოქმედებითი პროფილის სასწავლო კურსებში. ამჟამად შემოქმედებითი ტური ტარდება პორტფოლიოს წარდგენის ფორმატით, რაც ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს პროგრესად, რომელსაც უნივერსიტეტმა მიაღწია წინა აკრედიტაციის შემდეგ. შეფასება ხორციელდება ჩათვლის პრინციპით, ხოლო ტურის შედეგები იგზავნება გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში. ამდენად, ტურის დადებითი შედეგით გადალახვა ერთგვარ საშვს წარმოადგენს აბიტურიენტისათვის პროგრამაზე ჩარიცხვის თვალსაზრისით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ფაკულტეტზე ხატვასა და ხაზვაში გასაუბრების ჩატარების დებულება, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ პროცედურას. თუმცა ჩარიცხვის ამ წინაპირობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რადგან სწორედ მისი შედეგი წყვეტს აბიტურიენტის მონაწილეობას საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხ კონკურსში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გასაუბრებისა და პორტფოლიოს წარდგენის პროცედურის, პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმების უფრო მკაფიოდ გაწერა და აბიტურიენტებისთვის აღნიშნული მექანიზმის არსის და შეფასების კრიტერიუმების დეტალურად გაცნობა.

ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი [www.gtu.ge](http://www.gtu.ge)
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ხატვასა და ხაზვაში გასაუბრების ჩატარების დებულება

**რეკომენდაციები**

რეკომენდებულია გასაუბრებისა და პორტფოლიოს წარდგენის პროცედურის, პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმების უფრო მკაფიოდ გაწერა და აბიტურიენტებისთვის აღნიშნული მექანიზმის არსის და შეფასების კრიტერიუმების დეტალურად გაცნობა.

<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>„სამოსის დიზაინის“ პროგრამაზე ჩარიცხვას არ ჰქონდა რაიმე სახის წინაპირობა შემოქმედებითი უნარების შემოწმების მიზნით. წინა აკრედიტაციის რეკომენდაციის გათვალისწინებით „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ წარმოდგენილ პროგრამას ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრული აქვს შემოქმედებითი ტური, რომელიც ტარდება პორტფოლიოს ფორმატით.</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b></p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამა შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული არიან პროფესორ-მასწავლებლები, დამსაქმებლები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, ადმინისტრაციული პერსონალი. პროცესის მსვლელობისას გამოიყენება დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები და ასევე უცხოური ანალოგიური პროგრამების გამოცდილება რამდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტის</p>

მაგალითზე.

საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. მისი სტრუქტურა ასეთი სახითაა წარმოდგენილი: ძირითადი სპეციალობა - 220 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტი - 20 კრედიტი. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა 10 კრედიტს შეადგენს და ის ძირითადი სპეციალობის კრედიტების ნაწილს წარმოადგენს. პროგრამის სტრუქტურა მეტად დიფერენცირებული არ არის. დეტალური შესწავლის შემდეგ იკვეთება მისი შემადგენელი შემდეგი კომპონენტები: არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა ტექსტილის ნაწარმისა და ტყავის ნაკეთობათა საწარმოებში - 8 კრედიტი. ასევე, ირკვევა, რომ ძირითადი სპეციალობის 220 კრედიტიდან უცხო ენის კომპონენტს ეთმობა 10 კრედიტი, ჰუმანიტარულ სასწავლო კურსებს 3 კრედიტი, სპეციალობის არჩევით კურსებს 5 კრედიტი. თავისუფალი კომპონენტები დაყოფილია ოთხ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში სამ-სამი 5 კრედიტიანი საგანია გაერთიანებული. მერვე სემესტრში სტუდენტი თითოეული ჯგუფიდან ირჩევს თითო 5 კრედიტიანი საგანს (სულ 20 კრედიტი).

ძირითადი სპეციალობის 220 და თავისუფალი 20 კრედიტის დაგროვების შემდეგ (სულ 240 კრედიტი) სტუდენტს ენიჭება დიზაინის ბაკალავრის კვალიფიკაცია. პროგრამის სტრუქტურა ნაკლებადაა დიფერენცირებული, გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებში სავალდებულო და არჩევითი საგნების გამიჯვნა, ასევე, სპეციალობის სასწავლო კურსებისა და თეორიული (ჰუმანიტარული) სასწავლო კურსების გამოყოფა. ამდენად, რეკომენდებულია პროგრამის აღწერით ნაწილსა და სტრუქტურაში მკაფიოდ გამოიყოს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები, რაც უკეთ უზრუნველყოფს სტრუქტურაში დარგის სპეციფიკის ზედმიწევნით ზუსტად ასახვას.

პროგრამის კურიკულუმი შედგენილია მარტივიდან რთულზე გადასვლის პრინციპით; თანდათანობით ხდება იმ კომპეტენციების ჩამოყალიბება, რომელსაც პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები ითვალისწინებს. ვინაიდან პროგრამა მაღალი კვალიფიკაციის ტექნოლოგიების მომზადებას ისახავს მიზნად, პროგრამით გათვალისწინებულ კომპიუტერულ პროგრამებთან ერთად რეკომენდებულია სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამების შეძენა და კურიკულუმში მათი დამატება სწავლების მესამე/მეოთხე წლიდან, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტთა ტექნოლოგიურ უნარებს და საშუალებას მისცემს მათ სწავლების პროცესშივე გამოიმუშაონ შრომის ბაზარზე მოთხოვნილი ეფექტური მუშაობის უნარები.

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და ზოგ შემთხვევაში გვევლინება მომდევნო სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად. ამით უზრუნველყოფილია წინა კომპონენტით მიღებული სწავლის შედეგზე ახალი ცოდნის დაშენება და ამ გზით სწავლის ახალი შედეგების მიღწევა, ხოლო მათი ერთობლიობა მეტწილად განაპირობებს პროგრამის მიერ დასახული სწავლის საერთო შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება დიზაინის ბაკალავრის კვალიფიკაციას, დარგის სპეციალისტისთვის აუცილებელი ცოდნის

გადაცემას და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია პროგრამის აღწერით ნაწილსა და სტრუქტურაში მკაფიოდ გამოიყოს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები, რაც უკეთ უზრუნველყოფს სტრუქტურაში დარგის სპეციფიკის ზედმიწევნით ზუსტად ასახვას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია არსებული სპეციალიზებული უახლესი ტექნოლოგიებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეგულარული განახლება; მაგალითად, სპეციალიზირებული კომპიუტერული პროგრამების შექმნა და კურიკულუმში მათი დამატება სწავლების მესამე/მეოთხე წლიდან, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტთა ტექნოლოგიურ უნარებს და საშუალებას მისცემს მათ სწავლების პროცესშივე გამოიმუშაონ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ეფექტური მუშაობის უნარები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ქმნის როგორც დარგობრივი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების, ასევე, ტრანსფერული უნარების ერთობლიობას, რასაც ეფუძნება პროგრამის სწავლის შედეგები. სპეციალობის და ზოგადი თეორიული საგნების სწავლება (უცხო ენა, აკადემიური წერა და ა.შ) ამგვარი ცოდნისა და უნარების თანდათანობით გამომუშავებას ისახავს მიზნად.

სასწავლო კურსების შინაარსი და მათთვის მინიჭებული კრედიტების განსხვავებული რაოდენობა ლოგიკურ კავშირშია ამავე კურსების სწავლის შედეგებთან. კრედიტების დიფერენცირებული რაოდენობა ასახავს ამა თუ იმ თეორიული, პრაქტიკული ან შერეული ტიპის სასწავლო კურსის რეალურ საჭიროებებს და მიესადაგება კურსის პედაგოგის მიერ განსაზღვრულ მიზანს და სწავლის შედეგს. კრედიტების დიაპაზონი საკმაოდ დიდია - 3 კრედიტიდან 10 კრედიტის ჩათვლით. შესაბამისად, სასწავლო კურსების სწავლს შედეგების ერთობლიობა ლოგიკურ ბმაშია და განსაზღვრავს მთლიანად პროგრამის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ძირითადად კურსის შინაარსის (თემატიკის) რელევანტურია, მიმართულია კურსისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე. თუმცა ისეთ დინამიურად ცვლად და განვითარებად სასწავლო კურსებში, როგორცაა, მაგალითად კომპიუტერული ტექნოლოგიები აუცილებელია ქართულენოვანი სასწავლო რესურსის შექმნა/გამდიდრება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების მიღწევა დარგის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით. უნივერსიტეტმა უნდმა წაახალისოს პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი დარგის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით შეიმუშაონ სალექციო კურსების ან სახელმძღვანელოები.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საბიბლიოთეკო ფონდი

#### რეკომენდაციები:

რეკომენდებულია ქართულენოვანი სასწავლო რესურსის გამდიდრება როგორც ორიგინალური სახელმძღვანელოების, ასევე სალექციო კურსების შექმნის გზით.



რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ტრანსფერული უნარების განვითარება</b> და</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სპეციალობის სასწავლო კურსების უმეტესობა შერეული თეორიულ/პრაქტიკული ხასიათისაა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და სახელოვნებო/შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროგრამა მოიცავს სახელოვნებო მიმართულების ისეთ სასწავლო კურსებს, როგორცაა აკადემიური ხატვა, ფერწერა და ფერადი გრაფიკა, კომპოზიციის საფუძვლები, რომლებიც შემოქმედებით უნარებს უვითარებენ სტუდენტს, ხოლო ისეთი სასწავლო კურსები როგორცაა, მაგალითად, ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების მეთოდები, სპეც. კომპოზიცია, ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები/ანთროპომეტრია და სხვ. უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. შემოქმედებითი უნარები და პრაქტიკული უნარ-ჩვევები გონივრულად</p>

არის დაბალანსებული და მყარ საფუძველს ქმნის დარგის სპეციალისტისთვის აუცილებელი საბაზისო ცოდნისა და უნარების გამოსამუშავებლად.

სწავლების მერვე სემესტრში სტუდენტი ასრულებს საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც თავისი ხასიათით სინთეზურია და უნდა წარმოაჩენდეს სტუდენტის შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების მიღწევის დონეს. ამდენად პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის შემოქმედებითი, პრაქტიკული და ამავე დროს, ტრანსფერული უნარების განვითარებას.

„სამოსის დიზაინის“ ანუ 2015 წლიდან მოქმედი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათი აზრით, სასურველია პრაქტიკული კომპონენტის მეტად გაძლიერება, რაც წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამაში „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ აისახა კიდეც. გარდა უშუალოდ საწარმოო პრაქტიკისა, რომელიც პარტნიორი საწარმოების ბაზაზე ხორციელდება გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, სპეციალობის სასწავლო კურსების უმრავლესობა სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის სახით ავითარებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. გარდა სასწავლო პროგრამით განსაზღვრული კურსებისა პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული საგამოფენო აქტივობებში, სადაც პერიოდულად წარმოაჩენენ საკუთარი შემოქმედებითი უნარების პროგრესს.

ამდენად, უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების განვითარება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სპეციალობის სახელოსნოებში დაცული სტუდენტების მიერ შექმნილი მზა ნაკეთობათა ვიზუალური დათვალიერება

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

## შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ სახელოვნებო პროფილის მქონე სპეციფიური პროგრამაა. ამდენად, მისი შემადგენელი სასწავლო კურსებისთვის შერჩეული სწავლა-სწავლების მეთოდებშიც ასახულია მისი სპეციფიკა. სწავლება მიმდინარეობს ლექციის, სემინარის, ლაბორატორიული ან სახელოსნოში მუშაობის ფორმატში. სასწავლო პროცესში დიდი ადგილი უკავია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას.

გარდა ტრადიციული სწავლების მეთოდებისა გამოიყენება შემოქმედებითი უნარების განსავითარებელი მეთოდები, როგორცაა, მაგალითად დემონსტრირების და ახსნა-განმარტების მეთოდი ხატვა/ფერწერის სასწავლო კურსებში, ან სპეციალურ სახელოსნოებში მასალაზე მუშაობის მეთოდი. სწავლების მეთოდთა შერჩევის ამგვარი მიდგომა სტუდენტზე, მისი ბუნებრივი შემოქმედებითი უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული და, მეორე მხრივ, სირთულის დონით სავსებით შეესაბამება სწავლების საფეხურს და კონკრეტული კურსის შინაარსს. თითოეული სტუდენტის მონაცემების გამოვლენა, განვითარება მასთან ინდივიდუალური მუშაობის გზით, განსხვავებული შემოქმედებითი ამოცანების დასმის გზით ხდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აღსანიშნავია საბაკალავრო პროექტზე მუშაობის კომპონენტი, რომლის დროსაც სტუდენტი ხელმძღვანელთან თანამშრომლობით შემოქმედებით და ტექნოლოგიურ ამოცანებს სვამს, ეძებს მათი პრაქტიკულად გადაჭრის გზებს ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდგომების საფუძველზე.

სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევის ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის, ასევე, მთლიანად პროგრამის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- თვითსეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.6. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასების სისტემა გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, ხოლო მისი შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებში გამოიყენება შეფასების სპეციფიური ფორმები, ისეთი, როგორცაა, მაგალითად, ნაწარმის/ნამუშევრების გამოფენა, რაც სავსებით შეესაბამება თავად სახელოვნებო საგნების სპეციფიკას. ამდენად შეფასების სისტემა ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის და უმეტესწილად ნათლად არის ჩამოყალიბებული.

შეფასების მოიცავს როგორც შუალედურ, ასევე დასკვნით შეფასებას. ამასთან, შუალედური შეფასება ხორციელდება მიმდინარე აქტივობებისა და შუალედური გამოცდის სახით. თითოეულ კომპონენტს განსაზღვრული აქვს ქულათა მაქსიმალური და მინიმალური რაოდენობა. დადებითი შეფასება ქულათა მინიმალური რაოდენობის დაგროვების გზით მიიღწევა.

სტუდენტი ინფორმაციას შეფასების სისტემის და კრიტერიუმების შესახებ იღებს პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო კურსის პედაგოგის ან ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზის მეშვეობით. შეფასების კრიტერიუმების წინასწარ ცოდნა საშუალებას აძლევს სტუდენტს სათანადოდ მოემზადოს შეფასების პროცედურისათვის. ხშირ შემთხვევაში შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. ამავე ბაზაში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა ოპერატიულად აცნობს სტუდენტს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებას. უნივერსიტეტში მოქმედებს მიღებული შეფასების გასაჩივრების მექანიზმი.

შეფასების კრიტერიუმთა ზედმიწევნით გამჭვირვალობის თვალსაზრისით გადასახედია საბაკალავრო პროექტის სილაბუსი, მკაფიოდაა გასაწერი საბაკალავრო ნაშრომის კოლექციის შემადგენელ ერთეულთა მინიმალური რაოდენობა და მათი შეფასების დეტალური კრიტერიუმები, რათა სტუდენტისთვის საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებისთანავე ნათელი იყოს მისი მოცულობა და შეფასების კრიტერიუმები.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულევთან.

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია, საბაკალავრო პროექტის სილაბუსში უფრო მკაფიოდ გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მაგალითად, შექმნილი ნაწარმის/კოლექციის ერთეულთა მინიმალური რაოდენობა, მისი სინთეზური ხასიათი, შეფასების კრიტერიუმები) და საკუთრივ დაცვის ფორმატი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სილაბუსებში, წინაა აკრედიტაციის რეკომენდაციის თანახმად, გამოყენებულია სახელოვნებო საგნებისთვის აუცილებელი შეფასების სპეციფიური მეთოდები და კრიტერიუმები.

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის სათვლილების შეფასების ადეკვატურობა		<input checked="" type="checkbox"/>		

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოდის დიზაინის ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები დროულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და აკადემიური მოსწრების შესახებ. სტუდენტებისთვის მოქმედებს აპლიკაცია - GTU Tables და უნივერსიტეტის ვებგვერდი, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტები ეცნობიან ცვლილებებს სასწავლო პროცესსა და თავად უნივერსიტეტში, ასევე საკუთარ შეფასებას. ყოველი სემესტრის დასაწყისში, სტუდენტები ეცნობიან საგნის სილაბუსებს და საგნის შეფასების სქემებს. გარდა ამისა, მოდის დიზაინის ტექნოლოგიების სტუდენტებისთვის არსებობს ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები, რომელთაც უძღვება როგორც მოწვეული, ასევე აკადემიური პერსონალი. ინფორმაცია ინდივიდუალური საკონსულტაციო საათებისა და განრიგის შესახებ თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ყველა სტუდენტს აქვს მასზე წვდომა.

უნივერსიტეტში არსებობს კარიერული ხელშეწყობის დეპარტამენტი, თუმცა ამის შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია არ აქვთ.

**დამამთავრებელი კურსის სტუდენტები პრაქტიკას და სტაჟირებებს გადიან კერძო დამსაქმებლებთან.**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტს შეუძლია მისთვის ცნობილ გასაჩივრების პროცედურას მიმართოს მას შემდეგ, რაც ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით გაიგებს თავის შეფასებას. პრეტენზიასთან დაკავშირებით სტუდენტი იღებს არგუმენტირებულ პასუხს. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტში პერიოდულად (წელიწადში ორჯერ) ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებაზე. გამოკითხვის ჩატარებას და მის ეფექტიანობას ადასტურებენ ინტერვიუზე მყოფი სტუდენტები.

სასწავლო პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების კრიტერიუმებისა და მისი შემადგენელი კომპონენტების გარდა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის ლოკალური ელექტრონული ქსელის საშუალებით მიიღონ ინფორმაცია სტაჟირებების, საჯარო ლექციების, სხვადასხვა აქტივობისა და დასაქმების შესახებ.

სტუდენტები ჩართული არიან არასალექციო აქტივობებში, ხშირად აქვთ ვიზიტები როგორც გამოფენებზე, ასევე მოდის ჩვენებებზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტში იმართება და იგეგმება სხვა არასალექციო აქტივობებიც, რომელთა ხარჯებს უნივერსიტეტი ფარავს.

სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას და იღებენ მონაწილეობას კონფერენციებში, საჯარო გამოსვლებში, კონკურსებში, დარგობრივ სემინარებსა და ვორქშოპებში. სტუდენტებს მუდმივად აქვთ ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელისგან ისინი იღებენ შემოთავაზებებს საერთაშორისო გაცვლითი

<p>პროგრამების შესახებ.</p> <p>სტუდენტები სარგებლობენ უნივერსიტეტის ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით. კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. ამასთან მათ აღნიშნეს, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში.მათი განცხადებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა ყველა ის შენიშვნა, რომლებიც კურსდამთავრებულებს ჰქონდათ პროგრამის მიმართ. კურსდამთავრებულთა თქმით, ბაკალავრიატში სწავლის დროს ზოგიერთი საგანი მათთვის საინტერესო არ იყო, რის შესახებაც მათ დააფიქსირეს საკუთარი აზრი უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში და უნივერსიტეტმა შესაბამის ღონისძიებებს მიმართა პროგრამის მოდიფიცირების დროს.მათ ხაზი გაუსვეს მოწვეული და აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმს. კურსდამთავრებულებმა უკმაყოფილება გამოთქვეს პრაქტიკული ნაწილის სიმცირეზე, რაც ასევე გაითვალისწინა უნივერსიტეტმა პროგრამის მოდიფიცირების დროს. კურსდამთავრებულებმაც, ისევე, როგორც ამჟამინდელმა სტუდენტებმა, აღნიშნეს, რომ მათ მუდმივად ჰქონდათ ინფორმაცია გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო პროექტების შესახებ.</p> <p>სტუდენტები ადასტურებენ უნივერსიტეტში სტუდენტური ბარათების არსებობას და მათ ეფექტიანობას .</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში</li> <li>○ ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან</li> <li>○ ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>რეკომენდებულია კარიერული განვითარების სამსახურის/სერვისის ცნობადობის ამაღლება სტუდენტთა შორის და მისი გააქტიურება სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>სასურველია, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის სათაურების სრულ შესაბამისობაში მოყვანა ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზებში დაფიქსირებულ დასახელებებთან.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>



## შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

### რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

## შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიდ წევრები, მათთანინდივიდუალურიიმუშაობა		<input checked="" type="checkbox"/>		

## 4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის - „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ - განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით: სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები. ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და ფორუმებში მონაწილეობით. ასევე პროგრამაში ჩართულნი არიან პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომელთა დიდ ნაწილს მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება აქვთ.

სტუ-ს აქვს აკადემიური პერსონალის შერჩევის, დანიშვნის და მათი აკადემიური განვითარების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და ასახვის პოლიტიკა. შესაბამისად, მკაფიოდ არის განსაზღვრული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამუშაოს აღწერილობების, ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ახორციელებს 29 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: 10 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი. აღნიშნული აკადემიური პერსონალიდან 23 ავილირებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულებით. მოწვეულია 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 3 უფროსი მასწავლებელი.

პროგრამას აქვს განმახორციელებელი პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს შესაბამის დატვირთვას, მათზე დაკისრებული მოვალეობებიდან გამომდინარე.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ასევე ჩართულია საკონსულტაციო და პროგრამის განმავითარებელ პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის სტრატეგიულ შემუშავებასა და შეფასება-განვითარებაში, უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და სტრატეგიის გათვალისწინებით. იგი არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, 85-დე სტატიის ავტორი, გამოცემული აქვს სახელმძღვანელოები ტანსაცმლის კონსტრუირებაში, სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგიასა და სამკერვალო ნაწარმთა დაგეგმარებაში, არის 5 მონოგრაფიის ავტორი, 5 საგრანტო პროექტის ძირითადი შემსრულებელი და ხელმძღვანელი, მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, არის პროფესიული მოდულური პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ ხელმძღვანელი.

მოდულიზირებული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით. პროგრამას მოემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, (სულ 17) რომლებიც მუშაობენ სტუ-ს შესაბამის სამსახურებსა და

სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის: დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის ბიბლიოთეკარი და სხვა სპეციალისტები. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

ამდენად, პროგრამის ადამიანური რესურსი სავსებით შეესაბამება სტანდარტს.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამეცნიერო სტატიების ჩამონათვალი, მეცნიერული მიღწევები.
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- ინტერვიუს შედეგები
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ფაკულტეტის დებულება
- თვითშეფასების ანგარიში

### რეკომენდაციები:

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

### შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 4.2.აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რეგულარულად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და სასწავლო პროცესების მონიტორინგი. შესაბამისი ანალიზის შედეგად ხორციელდება სასწავლო პროცესის სრულყოფისა და პროგრამული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები, სწავლის შედეგები და მათი შეფასება.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია აუცილებელი პირობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფინანსური რესურსები და სხვა.

სტუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებში განსაზღვრულია „ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ და „ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“, შესაბამისად, აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული / ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო/კვლევითი პროცესების ეფექტური წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია, რომლის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

შესაბამისად, სტუ-ში ფინანსურად უზრუნველყოფილია აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის აქტიური ჩართულობა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების,

სემინარების, ვორქშოფების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო-შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომებისა და სხვა ბეჭდური მასალების გამოქვეყნებაში. აღნიშნული დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებებით, (ტრენინგები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები სამუშაო მივლინებები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები...)

ფაკულტეტის პერსონალის განვითარების მასალების შესწავლამ გვაჩვენა, რომ „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა თუ კონფერენციებში.

პროგრამის წარმატებული განვითარებისათვის სასურველია საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელება, ურთიერთთანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავება-განვითარება მიმართულების, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის განმახორციელებელი პირების პერსონალური მონაცემები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის წარმატებული განვითარებისათვის, სასურველია, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელება, ურთიერთთანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავება - განვითარება, მიმართულების, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

## შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ ხორციელდება არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, მათ შორის სასწავლო/სამეცნიერო/ტექნოლოგიური ლაბორატორიები, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ემსახურება უნივერსიტეტის ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, სადაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამკითხველო დარბაზის, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეებით. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით უზრუნველყოფილი 4 დარბაზით.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული ყველა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაეცნონ დარგის, სფეროს უახლეს ტექნოლოგიურ მონაცემებს, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების

შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული და ტექნოლოგიური პროცესებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, სპეც. მანქანა -დანადგარებითა და საჭირო ინვენტარით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ფაკულტეტის ყველა სართული უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით და სავაკუაციო სქემებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბიბლიოთეკო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი
- სტუ-ს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები
- სასწავლო კორპუსის, აუდიტორიების, ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ცენტრის ფაქტობრივი მდგომარეობა
- სტუ-ს წიგნადი და ელექტრონული ფონდი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია არსებული სპეციალიზებული უახლესი ტექნოლოგიებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეგულარული განახლება; მაგალითად, სპეციალიზირებული კომპიუტერული პროგრამების შექმნა და კურიკულუმში მათი დამატება სწავლების შესამე/მეოთხე წლიდან, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტთა ტექნოლოგიურ უნარებს და საშუალებას მისცემს მათ სწავლების პროცესშივე გამოიმუშაონ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ეფექტური მუშაობის უნარები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან



☐არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ დაფინანსება ხორციელდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. ფინანსები პროგრამისთვის განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურის მიერ, პროგრამის სასწავლო კომპონენტის და პრაქტიკის მიხედვით.

პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია: აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის სახელფასო სარგო და საშტატო განაკვეთის მოცულობა, წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი.

უნივერსიტეტი წარმოადგენს გრძელვადიან ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაფინანსების წყაროები
- სტუ-ს ბიუჯეტი
- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები  
თვითშეფასების ანგარიში

#### რეკომენდაციები:

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

**შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

**5.1 შიდა ხარისხის შეფასება**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წარმოდგენილია საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურებით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ფუნქციონირებს ადმინისტრაციული და აკადემიური სამსახურების, ასევე, რესურსების უწყვეტი შეფასების პროცესში. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ავითარებს და მონიტორინგს უწევს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესს. ამ მიზნით სამსახური იყენებს უნივერსიტეტში შემუშავებულ ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, კერძოდ, გეგმავს შეფასების პერიოდულობას, ამოწმებს ადამიანური და მატერიალური რესურსის შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამებთან, აფასებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით აქტივობას. სისტემატურად აფასებს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებს ხარისხს, ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვებს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო თუ კვლევითი პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირების პროცესში აკადემიური პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობდა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან. პროგრამაში შეტანილი ცვლილებები დაეფუძნა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზს. ამდენად, უნივერსიტეტში განვითარდა ხარისხის კულტურა, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მიმდინარეობდა PDCA-დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე ციკლის პრინციპით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

პროგრამის თვითშეფასების ანგარიში  
ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b></p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>უნივერსიტეტი იყენებს გარე ხარისხის შეფასების ორ მექანიზმს - ავტორიზაციას და აკრედიტაციას. ავტორიზაციის პროცესისთვის მზადდება, ისევე როგორც თავად ავტორიზაციის პროცესი მნიშვნელოვანი მექანიზმი აღმოჩნდა უნივერსიტეტის ყველა სამსახურისა და რგოლის მუშაობის თვითშეფასებისა და შეფასებისათვის. მნიშვნელოვნად ამაღლდა ამ პროცესში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის და პასუხისმგებლობის მაჩვენებელი. საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისთვის მოდიფიცირების პროცესმა და პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართულმა პერსონალმა დიდი მოცულობის სამუშაოს ჩატარების შემდეგ გამოავლინა პროგრამის როგორც ძლიერი, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები, რაც საფუძვლად დაედება პროგრამის შემდგომ განვითარებას. სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებიც უნივერსიტეტის მიერ განხილულია როგორც გარე შეფასების დამატებითი მექანიზმი. გარე შეფასების მიზნებისთვის პროგრამა შეაფასეს დარგის სპეციალისტებმა. აღნიშნული შეფასებების შედეგები გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროგრამაში, მაგალითად, წინა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციის მიხედვით პროგრამის გარე შეფასებისთვის გამოყენებულია მისი შეფასება დარგის სპეციალისტების მიერ.</p>

<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <p>პროგრამის თვითშეფასების ანგარიში  ინტერვიუ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან  პროგრამის შეფასება დარგის სპეციალისტების მიერ</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და მონიტორინგი უნივერსიტეტში მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პედაგოგების და დამსაქმებლების), ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სისტემატური გამოკითხვის ფორმით. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი ამჟამად თავად არის პროგრამის დამსაქმებელი. მათთან მჭიდრო კომუნიკაცია ხორციელდება შრომის ბაზრის სპეციფიური და თანამედროვე მოთხოვნების განსაზღვრის და პროგრამაში მათი ასახვის მიზნით. უნივერსიტეტი თანამშრომლობს სფეროში დასაქმებულ ყველა კურსდამთავრებულთან, თვალს ადევნებს მათ კარიერულ წინსვლას და მათ გამოცდილებას იყენებს პროგრამის განვითარებისათვის.

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია“, რომელიც დაკომპლექტებულია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალითა და სტუდენტით. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. კომისია გარკვეული პერიოდულობით აფასებს პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსს, აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობას. საჭიროების შემთხვევაში კომისია შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია პროგრამის განვითარებაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

პროგრამის თვითშეფასების ანგარიში  
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი [WWW.gtu.ge/quality](http://WWW.gtu.ge/quality)  
ინტერვიუ დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

### შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:  
მოდის დიზაინის ტექნოლოგიები

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40


### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შედეგები სადეკლარაცია		<input checked="" type="checkbox"/>		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშა ობა		<input checked="" type="checkbox"/>		
4. სწავლების რესურსები თუ წველი	<input checked="" type="checkbox"/>			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ლალანიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე ჩხუტიშვილი



სალომე წულუკიძე

